# ანალიტიკური წერა

## I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

# დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალების პოლიტიკური აქტივობის გაზრდის მიზნით, N ქვეყანაში მიიღეს კანონი პარტიების საარჩევნო სიებში ქალებისათვის კვოტების გამოყოფის შესახებ. შედეგად, ბოლო არჩევნების შემდეგ ქალების წილმა პარლამენტში 9% შეადგინა, რაც წინა პარლამენტში მათ რაოდენობას 3-ჯერ აღემატება. ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე განსახილველად შეტანილი კანონი საკვები პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

ექსპერტებმა, რომლებიც კვოტირების მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი, პარლამენტის მუშაობა მთლიანობაში არაეფექტიანად შეაფასეს და ამის საფუძვლად პარლამენტში ქალთა რაოდენობის ზრდა მიიჩნიეს.

**კრიტიკულად შეაფასეთ ექსპერტთა დასკვნა. ტექსტზე დაყრდნობით დაასახელეთ არსებითი არგუმენტები თქვენი აზრის დასასაბუთებლად.**

*იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*

# დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

დაძაბულ, კრიტიკულ ვითარებაში ფოტოჟურნალისტმა კამერა გვერდზე უნდა გადადოს და გასაჭირში მყოფ ადამიანს დაეხმაროს.

**გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.**

*იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*